# სასათაურე შრიფტი

ფონტის ტექნიკური გამართულობის საბაზისო კრიტერიუმები შემუშავებულია Typeface.ge-ს მიერ გამოცდილ ფონტის დიზაინერებთან კონსულტაციის შედეგად. კრიტერიუმების მიზანია დავეხმაროთ დიზაინერებს თავიანთი ფონტების ტექნიკურად გამართვაში და მაღალი ხარისხის ფონტების წარმოებაში.

## 01 სრული გარნიტური

[ მოიცავს საბაზისო სიმბოლოების ნაკრებს ]

**ქართული მხედრული:**

აბგდევზთიკლმნ
ოპჟრსტუფქღყშჩ
ცძწჭხჯჰ

და/ან

**ქართული მთავრული:**

ᲐᲑᲒᲓᲔᲕᲖᲗᲘᲙᲚᲛᲜ
ᲝᲞᲟᲠᲡᲢᲣᲤᲥᲦᲧᲨᲩ
ᲪᲫᲬᲭᲮᲯᲰ

**BASIC LATIN:**

ABCDEFGHIJKLMNOPQRSTUVWXYZ

Abcdefghijklmnopqrstuvwxyz

**ციფრები, ვალუტა და სასვენი ნიშნები:**

0123456789
$€₾
.,:;...!?·•*#/\-–—_(){}[]‚„‘“”“‹‹››‹›’”@&©|+–=><~^%

# 02

## აწყობილია UNICODE სტანდარტით

ყველა სიმბოლოს კოდი შეესაბამება UNICODE-ში ამ სიმბოლოსთვის მინიჭებულ კოდს:

**საბაზისო სიმბოლოების ნაკრები მოიცავს:**

- Georgian
- Basic Latin (ASCII)
  (სასვენი ნიშნები)

**სასურველი, არასავალდებულო:**

- Basic Latin (ASCII)
  (ლათინური)
- Georgian Extended
  (მთავრული სიმბოლოები)

UNICODE-ში ნებისმიერი სიმბოლოებისთვის მინიჭებული კოდები შეგიძლიათ მოძებნოთ ოფიციალურ საიტზე:

https://www.unicode.org/charts/

# 03

## სისტემურად სწორად გამართული ფაილი

**ფორმატი**
TTF/OTF — 01

**ფაილში სწორად გაწერილი ფონტის და სტილების სახელები**
(light,regular, bold, italic ...) — 02

**ფონტის მეტადატა შევსებული**
(კოპირაითის, ლიცენზიის და დიზაინერის ინფორმაცია) — 03

**ფონტი გამართულად უნდა მუშაობდეს MacOS და Windows სისტემებზე.**
არ უნდა ქონდეს პრობლემა Adobe-სა და Microsoft-ის პროგრამებში — 04

**თუ opentype ფუნქციები აქვს ფონტს მათი გამართული მუშაობა**
(ლიგატურები, კონტექსტური ალტერნატივები, სტილისტური ალტერნატივები...) — 05

**გამართული სფეისინგი და კერნინგი** — 06

**სწორად მითითებული ვერტიკალური მეტრიკები** — 07
(სწორად გაწერილი ვერტიკალური მეტრიკები გულისხმობს:
სიმბოლოები სასურველია გასწორებული იყოს სტრიქონის ხაზზე. გარდა იმ შემთხვევისა, როცა სიმბოლოთა უსწორმასწორო განლაგება შრიფტის დიზაინის ნაწილია.
სტრიქონებს შორის მანძილი (Leading) სწორად ჩანს პროგრამებში.
სტრიქონების გამყოფი სივრცე სწორადაა დაყენებული - სტრიქონები არ ფარავს/ეჯახება ერთმანეთს, არაა ზედმეტად დიდი დაშორება.)

ფონტის ფაილის სისტემურად სწორად გასამართვის დეტალურ სახელმძღვანელოს შეგიძლიათ გაეცნოთ სტატიაში:

https://typeface.ge/ka/journal/++++

## 04 სუფთად აგებული დიზაინი

ზედმეტი (უფუნქციო) წერტილების გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს დიზაინი.

უკიდურესი წერტილები (extreme points) თავის ადგილას: ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა (მნიშვნელოვანია ჰინთინგისთვის)

## 05 მხედრული და მთავრული ერთ ფონტის ფაილშია მოთავსებული

შესაძლებელია ფონტს ქონდეს მხოლოდ **მთავრული, მხედრული, ნუსხური ან ასომთავრული.**

თუ ერთ ფონტს აქვს როგორც მხედრული, ისე მთავრული ვარიანტი - ორივე ერთ ფონტის ფაილში უნდა იყოს მოქცეული.

თუ ერთ ფონტს აქვს ერთზე მეტი ქართული ანბანი (მხედრული/მთავრული/ასომთავრული/ნუსხური) - ერთ ფონტის ფაილში უნდა იყოს მოქცეული.

**შენიშვნა:** საიტს დაემატა ახალი ქართული კლავიატურა. მისი საშუალებით შესაძლებელია ყველა ქართული სიმბოლოს აკრეფა: მხედრული, მთავრული, ასომთავრული, ნუსხური. ამისთვის ყველა სიმბოლოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი UNICODE კოდი.

კლავიატურას აქვს Windows და MacOS ვერსიები. ორივე მათგანი შეგიძლიათ გადმოიწეროთ გვერდიდან:

https://typeface.ge/ka/keyboard

## 06 უფლებრივად უნაკლო შრიფტი

**დიზაინერი იღებს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ წარდგენილი შრიფტის საავტორო და ქონებრივი უფლებები ეკუთვნის მას და/ან აქვს შესაბამისი ნებართვა ამ უფლებების განკარგვისთვის.**